# ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# დადგენილება №74

# 2014 წლის 26 დეკემბერი

# ქ. ზუგდიდი

**„ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

„ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №72 დადგენილებაში (www.matcne.gov.ge, 24.12.2014, ს/კ 190020020.35.170.016072) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის ,,დ.ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" 78-ე მუხლის და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:“**

2. დადგენილების მე-16 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მუხლი $16^1$:

**,,მუხლი $16^1$.**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 ივლისის № 10 დადგენილება.“.

3. დადგენილების მე-17 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

**,,მუხლი 17.**

დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 1 იანვრიდან.“.

4. დადგენილების დანართის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარის** **გიორგი თოდუა**
**მოვალეობის შემსრულებელი**